

## სამაგისტრო პროგრამა - თურქული ფილოლოგია

2010-2011 სასწავლო წლისათვის სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხები

### 1) თურქული ენა

1. თურქული ენის ადგილი მონათესავე ენებს შორის. თურქული ენის შესწავლის ამოცანები. თურქული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურები. ლათინური ანბანის შემოღება
2. ანბანი. ბგერითი შედგენილობა. ხმოვანთა სისტემა და მათი არტიკულაციური დახასიათება. ხმოვანთა სისტემა: დახასიათება, კლასიფიკაცია. მარცვალი და მისი სახეები. თანხმოვანთა სისტემა.
3. სიტყვის აგებულება, ძირი, ფუძე. სიტყვის აგების ძირითადი წესი. სუფიქსების ხმოვნითი და თანხმოვნითი ვარიანტები. ხმოვანთა ჰარმონია, თანხმოვანთა ჰარმონია
4. მეტყველების ნაწილები: სახელი, ზმნა, დამხმარე სიტყვები
5. კუთვნილების გამოხატვის გრამატიკული და საგნობრივი თვისებები. ქონება-უქონლობის სუფიქსები და მათი გამოხატვის მორფოლოგიური საშუალება
6. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება და ბრუნვის კატეგორია
7. აზაფეთი (I, II, III). მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები
8. ზედსართავი სახელი
9. რიცხვითი სახელი
10. ნაცვალსახელები და თანდებულები
11. ყოფნისა და ქონების საერთო კატეგორიის გამოხატვა თურქულში
12. ზმნა: ზოგადი დახასიათება, ზმნის ერთპირიანობა. ზმნის პირიანი და უპირო ფორმები. თურქული ზმნის სიტყვაწარმოებითი და უღლების კატეგორიები
13. ზმნის კილოები (თხრობითი, ბრძანებითი, პირობითი, ნატვრითი, აუცილებლობითი) და დროები. კილოს, დროის, სახისა და აქტის ფორმათა მიმართება კილოს შიგნით
14. ზმნის გვარის გრამატიკული კატეგორია
15. ზმნის უპირო ფორმები: მასდარი და მიმღეობა
16. კომბინირებული ზმნები და ინტენსივობის კატეგორიის გამოხატვა
17. აბსოლუტივები (დროისა და ვითარების)
18. მარტივი წინადადება. წინადადების მთავარი და გავრცობილი წევრები
19. რთული წინადადების სტრუქტურული ტიპების \_ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა სემანტიკური დახასიათება და კლასიფიკაცია

20. უკავშირო რთული წინადადება. უკავშირო რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურა. შემასმენელი მთავარ წინადადებაში

### **ლიტერატურა:**

1. გოცირიძე ი., სარიშვილი ე., 1986. თურქული ენა: გრამატიკული ცხრილები და პარადიგმები. თბილისი
2. კვანტალიანი ე., ჯანაშია ნ., 1999. თურქული ენის სახელმძღვანელო. თბილისი
3. ჯანაშია ნ., 2000. "მყოფელობის" და "მქონებლობის" გამოხატვის სემანტიკა და გრამატიკა. თბილისი
4. კვანტალიანი ე., 2003. თურქული ქრესტომათია ლექსიკონით. თბილისი
5. ჯანაშია ნ., 1998. ზმნა თანამედროვე თურქულ ენეში. თბილისი
6. Кононов А., 1956. Грамматика современного турецкого литературного языка. М.\_Л.

### **2) თურქული ლიტერატურა**

1. თურქული პოეტიკის საკითხები (თურქული ლიტერატურის თემატური რკალი და ჟანრები, სატრფიალო ლირიკა: აშიყი და მაშიყი)
2. ფილოსოფიური ლირიკა (რინდი და ზაჰიდი), მედჰიე, ფაჰრიე, თვითგანდიდება, ჰიჯვიე, მერსიე
3. საგმირო-სათავგადასავლო მესნევიები, რომანტიკული მესნევიები, ლეგენდები და რელიგიური ეპიკა
4. ხალხური ლექსის სახეობანი: მანი, კოშმა, თურქუ
5. შუა საუკუნეების თურქულენოვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუში "Kitab-ı Dedem Korkut" ("წიგნი პაპაჩემი ქორქუთისა")
6. თურქული ფოლკლორი (ბათალნამე, დანიშმენდნამე, ანეკდოტები)
7. ნასრ ედ-დინ ხოჯა და მისი ოხუნჯობანი, სახალხო თეატრი\_ყარაგოზუ
8. ისტორიოგრაფიული თხზულებანი
9. ადრეული თურქული ლიტერატურა მცირე აზიაში (XII-XIV სს.-ები): აჰმედ იესევი, ჯელალ ედ-დინ რუმი, მეჰმედ ბაჰაედინ სულთან ველედი, იუნუს ემრე, აშიკ ფაშა
10. ჯელალ ედ-დინ რუმის შემოქმედება. ლირიკული ლექსების დივანი "Divani-i Şams ul hakaik" "კრებული ჭემმარიტების მზისა. ეპიკური თხზულება "Mesnev-i Manevi" (მესნევი ფარული აზრისა)

11. თურქული რომანტიკული პოემები (XIV-XVI სს.-ები): სულეიმან ჩელები, მესუდ იბნ აჰმედი, აჰმედ გერმინე, ილიას რევანი
12. თურქული ლირიკული პოეზია (XV ს.-ის ბოლო და XVI ს.-ის დასაწყისი): აჰმედ ფაშა, ისა ნეჯათი, მიჰრი-ხათუნი, ისა მესიჰი
13. მაჰმუდ აბდულ ბააკი (1526-1600): ლექსი “Sumbul Kasidesi” (სუმბულის ყასიდა). თურქული ლექსის ტექნიკა, მეტრიკა, ტემა, სახეები, მსოლმხედველობა
14. თურქული პოეზია (XVII- XVIII სს.-ები): ომერ ნეფი, იუსუფ ნაბი, ალაედინ საბითი, აჰმედ ნადიმი, მუჰამედ ესად გალიბ დედე, შეიხ გალიბი).
15. თანზიმათის პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობანი XIX ს.: იბრაჰიმ შინასი, ზია ფაშა, ნამიქ ქემალი
16. სერვეთი ფუნუნუს პერიოდი: XIX ს.-ის ბოლო XX ს.-ის დასაწყისი: მუალიმ ნაჯი, მეჰმედ ემინი იურდაქული, თევფიქ ფიქრეთი, ალი ექრემი
17. გენჩ ქალემლერის ლიტერატურული ჯგუფი: ომერ სეიფედინი, იუსუფ აქქურა, ზია გიოქალფი
18. სიმბოლიზმი თურქულ ლიტერატურაში: აჰმედ ჰაშიმი, მეჰმედ ფუად ქიოფრულუ, ჰამდულლაჰ სუფჰი თანრიოვერი
19. რესპუბლიკის პერიოდის მწერლობა: მეჰმედ აქიფ ერსოი, ჰალიდე ედიფ ადივარი, იაკუბ ქადრი ქარაოსმანოღლუ, რესათ ნური გუნთექინი, საბაჰათინ ალი, ორჰან ქემალი, აზიზ ნესინი, ნაზიმ ჰიქმეთი, ფაქირ ბაიქურთი, ბექირ ილდიზი, ორჰან ველი
20. ჰალდუნ თანერის მხატვრული პროზა და პუბლიცისტიკა

#### **ლიტერატურა:**

1. ჯაველიძე ელიზბარ, თურქული პოეტიკა, თბილისი 1988.
2. ჯაველიძე ელენე, აჰმედ ჰაშიმის პოეზიის სიმბოლური დონის გაგებისათვის, აღმანახი “ლიტერატურა და სხვა”, 2002, N4.
3. Алькаева Л. О., Бабаев А. Л., Турецкая литература, Москва 1967
4. Бабаев А. Л. Очерки современной турецкой литературы, Москва 1959.
5. Гарбузова В. С., Поэты средневековой турции, Ленинград 1963.
6. Камилев Х., У истоков современной турецкой литературы, Москва 1967.
7. Kenan Akyüz, Modern Türk edebiyatı anacızgı beri, İstanbul.

ბილეთში შედის, აგრეთვე, საშუალო სირთულის ტექსტიდან ნაწყვეტი ქართულიდან თურქულად და პირუკუ – თურქულიდან ქართულად წერილობითი თარგმანის შესასრულებლად.